

მდინარე ვერეზე არსებული ძველი და ახალი გვირაბების წყალგამტარუნარიანობა 2015 წლის 13 ივნისის კატასტროფამდე და მის შემდეგ

ნუნუ ცინცაძე

ელ.ფოსტა: nunu.tsintsadze@tsu.ge;

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი.ჭავჭავაძის პრ. #3, 0179 თბილისი*

მდინარეებზე საინჟინრო სამუშაოების ჩატარებისას, კერძოდ ნებისმიერი ჰიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობისას მნიშვნელოვან ჰიდროლოგიურ ელემენტს წარმოადგენს მდინარის, როგორც თხევადი, ასევე მყარი ნატანის ჩამონადენის ცოდნა. ჩემს მიერ წარმოდგენილ მოხსენებაში საქმე გვაქვს მდინარე ვერეზე არსებული გვირაბების და გვირაბის ნაცვლად აგებული ხიდის წყალგამტარუნარიანობაზე. 2010 წელს ჩატარებული გათვლების მიხედვით მიღებულია, რომ ვაკე-საბურთალოს ძველი გვირაბის შესასვლელის და მისი გამაგრძელებელი ახალი 220 მეტრი სიგრძის გვირაბის გამოსავალი კვეთის წყალგამტარობა შესაბამისად ტოლია 460მ³/წმ და 410მ³/წმ წყლის მაქსიმალური ხარჯის.

2015 წლის 4 ივნისისა და 13 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნების შემდეგ ხელახლა იქნა გათვლილი აღნიშნული ორი გვირაბის, ახალ გზაზე ორი გვირაბის და ერთი გვირაბის ნაცვლად ახლად გაკეთებული ხიდის წყალგამტარუნარიანობა. 2015 წლის 4 და 13 ივნისის კატასტროფული წყალმოვარდნის შემდეგ მოხდა კალაპოტის მნიშვნელოვანი ნაწილის დიდი მოცულობის გარეცხვა და გათვლების შედეგად მიღებულია შემდეგი პარამეტრები: ვაკე-საბურთალოს გვირაბის შესასვლელი კვეთის - 540, მისი გამაგრძელებელი ახალი გვირაბის - 430, ბახტრიონის გზისქვეშა გვირაბის - 624, წყალგამტარი ახალი ხიდის - 1475 და ზოოპარკთან მდინარის შესასვლელი გვირაბის - 474 მ³/წმ მაქსიმალური ხარჯები.